სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

13 / ნოემბერი / 2024 წ.

KA080131446508824

№ **3065**

განკარგულება

შპს „სამშენებლო კომპანია ალფას“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 28 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა შპს „სამშენებლო კომპანია ალფას“ (ს/ნ: 400261872) 2024 წლის 28 ოქტომბრის № 86 მომართვა (რეგისტრაციის № 8891), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. მიმწოდებელმა 2024 წლის 6 და 7 ნოემბერს წარმოადგინა 2024 წლის 6 და 7 ნოემბრის დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №9250 და №9270), რომლებითაც გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2024 წლის 30 ოქტომბრის №3100 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „სამშენებლო კომპანია ალფა“ (ს/ნ: 400261872) 2024 წლის 14 ნოემბერს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე